# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-835

ქ. თბილისი

08/06/2021

**ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (328 000 $m^3$ წელიწადში) სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (328 000 $m^3$ წელიწადში) სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ორი ჭაბურღილით, მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, ბათუმის ქ. N16-ში, შპს „დრიმლენდ ოაზისის“ კუთვნილ ტერიტორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილია წელიწადში 328 000 $m^3$ მტკნარი წყლის მოპოვება, მათ შორის, N1 ჭაბურღილიდან წელიწადში განხორციელდება 109500$m^3$ წყლის, ხოლო N2 ჭაბურღილიდან - 219000 $m^3$ წყლის აღება. სალიცენზიო ობიექტების კოორდინატებია: N1 – X –726956, Y - 4622305; N2 - X - 726960, Y- 4622419.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰიდროლოგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიან სისტემას. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია ქვიშიან-კენჭნარიანი ნალექებით, სადაც შემავსებლად ითვლებიან ქვიშები, თიხნარიანი ქვიშები, თიხნარები და თიხები. ჰორიზონტის კვება ხდება ატმოსფერული ნალექებით და მდინარეების წყლებით.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჭაბურღილების სიღრმე უცნობია. სალიცენზიო ობიექტებზე მოწყობილია თავმორთულობები და დამცავი ჯიხურები. აგრეთვე დამონტაჟებულია მრიცხველები მოპოვებული წყლის რაოდენობის აღსარიცხავად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქიმიური შედგენილობის თვალსაზრისით წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი, იშვიათად ნატრიუმიან-კალციუმიანი ტიპისაა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ წიაღით სარგებლობის ობიექტი შესწავლილია საძიებო-დაზვერვითი და დაზვერვითი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების

სტადიაზე. სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ჭაბურღილების ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ორივე ჭაბურღილიდან დღე-ღამეში 900 $მ^3$ წყლის მიღება შესაძლებელია (N1 ჭაბურღილიდან - 300 $მ^3$ წყლის, ხოლო N2 ჭაბურღილიდან 600 $მ^3$ წყლის). საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია $P_2$ (პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტები არ ხვდება სახელმწიფო ტყის და დაცული ტერიტორიების კატეგორიაში. ამასთან, ვინაიდან სალიცენზიო ობიექტი უკვე მოწყობილია, ორივე ჭაბურღილს გააჩნია თავმორთულობა და დამცავი ჯიხური, რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, მოსალოდნელი არ არის ნარჩენების წარმოქმნა და ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე. ამასთან, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსალოდნელი არ არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (328 000 $მ^3$ წელიწადში) სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვება არ გამოწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (328 000 $მ^3$ წელიწადში) სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი